



გაზეთი გამოდის  
1930 წლის  
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# მაცნე

## სამტრედიის

№19 (9396)

15 ოქტომბერი, 2023 წელი

ფასი 75 თეთრი



*ძამულიძვილია, ნოდვიძიკ ვინიზა  
საყურათი ძამულიძი ჩიიჯია*

მოვსინჯოთ,  
არ ამოღებუა?!



საკრებულოს რიგგარეშე  
სხდომა რიგინანი  
ვნებათატელვის ფონზე

მაჟორიტარები ანბარის აბარებენ  
მელაური-ეჟერი, კულაში-ღანიტი, იანეთი-ბაში...



*6 ნინო სეყურიძე  
ოცნებს ანსერიძეს*

მუხმან  
ღებანიძის  
სოფლამდე პოეზია  
ქალმა 5 წლის  
ფვილთან ერთად  
ფენით რბა  
კილომეტრი  
ბანიბრა

“მანდ ლიმი უფლი  
გაქიცივებას, აქსუნი  
აფასისფლისდ  
გეჩვენება!”



იანეთში ეპროკული  
სტანდარტების  
შესაბამისად

8

4

# მოვსინჯოთ, არ გამოდგება?!

თეა ბაპუნაშვილი

იმ რამდენიმე საკითხს შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომაზე რომ განიხილეს, ერთს ხმაური მოჰყვა. დღის წესრიგი 6 განსახილველი საკითხით შემოიფარგლებოდა.

ამ ფორმით დღის წესრიგის მიღების შემდეგ, პირველივე საკითხად არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი “სამტრედია” ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების ირგვლივ იყო საუბარი. დეპუტატები გადაწყვეტილებას ერთხმად დაეთანხმნენ.

ხმაურიანი შესამე საკითხად გამოტანილი სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების გაერთიანება და ერთ ერთულად ჩამოყალიბება ხმადაღალი განსჯის საბაზის აღმოჩნდა. დარბაზში მსხდომი ოპოზიცია ამგვარად სრული შემაჯავებლობით კარგა ხანია არ დასწრებია საკრებულოს სხდომებს. “ნაციონალური მოძრაობის” ლიდერს ემზარ შუბლაძეს გარკვეული კითხვები ჰქონდა საკითხთან დაკავშირებით. მის ხმაურიან პათოსს “ნაციონალური მოძრაობის” სხვა წევრებიც ხმაურითვე უჭერდნენ მხარს. ისინი სახელოვნებო და სამუსიკო სკოლებისა და სამხატვრო გალერეის გაერთიანების საკითხის გადახედვას ითხოვდნენ იმიტომ, რომ მათი განცხადებით, ეს კადრების შემცირებას გამოიწვევდა. მათ საპირისპიროში არწმუნებდნენ უმრავლესობის წარმომადგენლები. როგორც ხდება, ხოლმე საკითხის განხილვას ურთიერთშეუპაარაკება მოჰყვა საკმაოდ მაღალ რეგისტრში.

განსახილველად გამოტანილი საკითხი კი, რომელიც სახელოვნებო და სამუსიკო სკოლებთან ერთად სამხატვრო სკოლა-გალერეის ერთ ადმინისტრაციად გაერთიანებას გულისხმობს, როგორც

საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე აღნიშნავს, სულაც არ გულისხმობს კადრების შემცირებას” “ეს გაერთიანება არ გულისხმობს არც ცალკეული ორგანიზაციის ბიუჯეტის და არც შტატების შემცირებას. დავაპროცედურებთ – არავინ სახელში არ მიდის! სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების დირექტორებს მმართველი დაერქმევათ, უფლებამოსილება, ფაქტობრივად, იგივე რჩებათ. დირექტორი გაერთიანებას ვყოფილია. ანალოგიურად გვაქვს ჩვენ ასეთი გაერთიანება – სკოლა-მღვდელის დაწესებულებათა გაერთიანებას ვგულისხმობ. გარკვეული თავშეკავება გვქონდა სამხატვრო გალერეასთან მიმართებაში, თუმცა, თუკი ამ გაერთიანებაში მისი ყოფნა რამენაირ პრობლემას შექმნის, შეგვიძლია კვლავ მის გამოყოფაზე ვიფიქროთ. მოვსინჯოთ, რა იქნება, არ გამოდგება? ინტერესი არავის აქვს. გაკეთებული საქმე გაფუჭდეს!”

ოპოზიციის პროტესტი ამიტომაც იქნა უადგილოდ მიჩნეული და საკითხი ერთხმად მიიღეს.

გარდა ამ საკითხისა, ემზარ შუბლაძემ ბოლო ხანს სახელმწიფო აუდიტის მიერ დადებულ დასკვნაში სისხლის სამართლებრივი დანაშაულის არსებობაზე გააკეთა აქცენტი. პროფესიით იურისტ ოპოზიციონერს, საკითხის მომხსენებელმა, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, კანონი შეასენა, რომელიც დასკვნაში დანაშაულის შემცველი ფაქტების არსებობის შემთხვევაში საკითხის სამართალდამცავ ორგანოებში დაყენების ვალდებულებას საკრებულოს ნებისმიერ წევრს აძლევდა. მოუწოდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში თავად მოეთხოვა გამოძიება. როგორც მანანა სირბილაძემ განმარტა,

“შენიშვნა სწორედ იმაზე აუდიტის დასკვნაში, ამდენი აიპი ცალკე რომ ფუნქციონირებს. გარკვეული გაერთიანება უფრო მობილურს გახდის მათ მუშაობას.”

სანამ 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე ჩატარებული მუშაობის ანგარიშს წარუდგენდა საკრებულოს, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთი საკითხი გამოიტანა განსახილველად. დეპუტატებმა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული “ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ” შეთანხმებაზე ხელმოწერისა და მასზე შეერთების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მისცეს თანხმობა.

“ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისთვის. იმისთვის, რომ ეს უფლება რეალიზებულ იქნას, არა მარტო კანონიერად უნდა იქნას აღიარებული, არამედ ფექტიურად გამოყენებული ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული. როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველი შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ელიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული დონისძიების გატარება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიჩნია სამტრე-



დღის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ევროპულ ქარტიას.” – აღნიშნა საკრებულოს სხდომაზე.

გარდა იურიდიული კომისიის თავმჯდომარისა, მიმდინარე წლის 1-ელ ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძემ ისაუბრა.

სხდომის ბოლოს საკრებულოს წევრმა კობა ძიძიგურმა საკუთარ განცხადებაში აღნიშნა, რომ ...

# საკრებულოს რიგგარეშე სხდომა რიგიანი ვნებათაღელვის ფონზე

ლევან ბაპუნაშვილი

რიგგარეშე სხდომა გამართა 11 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც წესისამებრ საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. დამტკიცდა დღის წესრიგი, რომელთა ირგვლივ მომხსენებლები საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით ჯანელიძე და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე გახლდათ.

ვნებათაღელვა პირველი საკითხის განხილვისთანავე დაიწყო. საკითხი კი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში ცვლილების შეტანას შეეხებოდა. კერძოდ, როგორი პასუხი გაქვთ, გჯერათ თქვენი პრემიერის განცხადების მართებულობის, საქართველოში ნახევარი მილიონი ადამიანი, რომ ამოვიდა სიღარიბიდან? ძირითადად, ამ კითხვით

მიმართა უმრავლესობას ოპოზიციონერმა დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა. სოციალური კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ლეჟავამ მოსახლეობისადმი მეტი ზრუნვის გამოხატულებით ახსნა სოციალური სამსახურის ბიუჯეტის ზრდა. საკრებულოს სპიკერატის მცდელობის მიუხედავად ვნებათაღელვა არ ცხრებოდა.

ქართულ ჯარში არასახარბიელო ვითარებაა. ბავაბაღებში კონტინგენტი მცირდება, რატომ არაფერი თქვა პრემიერმა დარიბაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრაზე დავით გარეჯის თაობაზე? რატომ ვერ ხერხდება სოხუმის ქუჩაზე განათების მოწყობა? კითხვებს სვამდნენ ოპოზიციის (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) წარმომადგენლები და ბუნებრივია, დასმულ კითხვებს პასუხობდნენ.

სამწუხაროა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, საათნახევრიანი სხდომის ნახევარი დრო (თუ მეტი არა) პოზიცია-ოპოზიციას შორის დავას დაეთმო.

საკრებულომ მოიწონა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის 23-ე დადგენილების შესაბამისად რევიონებ-

ში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 33 პროექტი, რომელთა თაობაზე მომდევნო წერილებში არაერთხელ გვექნება საუბარი.

დაბოლოს, ვიმედოვნებთ, ჭკუის სწავლებად არავინ ჩავგვივლის ვთქვათ, რომ როგორც ოპოზიცია, ისე პოზიცია უფრო მშვიდ ატმოსფეროში უნდა ახერხებდნენ უმწვავესი საკითხების ირგვლივ საუბარს, კამათს. 11 ოქტომბრის სხდომა კი აშკარად გაცდა კამათის ზღვარს. აქვე, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ როგორც უმრავლესობას, ისე საკრებულოში წარმოდგენილ უმცირესობას ერთი მიზნის მეტი არაფერი ამოძრავებთ, კიდევ მეტად განვითარებული და სოციალურად, ნამდვილად წვლგამართული იხილონ სამტრედიელები, საქართველოში მცხოვრებნი და ქვეყანა გამთლიანებული და ეკონომიურად გაძლიერებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ, როგორც სხდომის მიმდინარეობისას, ასევე ბოლოს, პოლიტიკური ეთიკის დაცვისა და ურთიერთპატივისცემისაკენ მოუწოდა კოლეგებს.









# მამულიშვილი, რომელმაც ეწიოპა საყუთარი მამულში ჩაიყვია

თეა ბაგუნაშვილი

“მას აქვთ, რაც მე ჩემს თავს ვიცი, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თავი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი... რომლის ბედი და უბედობა, ჩემი საყუთარი ავი და კარგი მეგონა...” – ეს ნიკო ნიკოლაძის მრწამსი გახლდათ. სამშობლოს ასეთ სიყვარულს დღეს ბევრი იბრალეებს მაღალჩინოსნობის ან მაღალჩინოსნობის სურვილის გადმოსახედიდან, ამ სიტყვებს ბევრი იშველიებს კიდევ, მაგრამ თანამედროვე საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ, ნიკოლაძის შემდეგ ცოტა გვახსენდება ისეთი ქართველი, მისი ღამაზად სათქმელის გარდა, რაშიც ვერაინ შეგვედრება, ამ პათოსით რომ მიდგომოდეს მამულიშვილობის ვალდებულებას! “ყოველი ერთი ვალდებულია, სანამ შეუძლიან, იბრძოლოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნების დასაცავად, შესანახავად.” – ისევ ნიკო და ისევ მისი ეპოქიდან მოყოლებული დღევანდელობამდე ღიად დარჩენილი პრობლემა და ქვეყნისთვის საკეთებელი საქმე!

ვერ ვიტყვით, რომ ისე გაახსენდა თანამედროვე საქართველოს, როგორც ეკუთვნოდა ამ დიდ საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას დაბადებული ნიკო ნიკოლაძის 180-ე წლისთავი დიდ ჯიხაიში, მის მამულში ოქტომბრის პირველ რიცხვებში მაინც აღინიშნა. უფრო ზუსტად, აქ არც არასდროს დაეიწყნათ დიდი ნიკო, მასთან და მის სახელოვან ოჯახთან დაკავშირებული არც ერთი წვრილმანი. ვგონებთ, საქართველოში ყველაზე უკეთ აქ იცინა ნიკო ნიკოლაძის ფასი და ეს სამწუხაროდ! თეორიულად კი ყველამ იცის, რომ ნიკო ნიკოლაძე გახლდათ მამულიშვილი, მის მამულში ევროპა რომ ჩაატია, საყუთარ თავში რომ იტყვდა სახელმწიფოს. უწოდეს კიდევ მას კაცი-სახელმწიფო.

“წელს სრულიად საქართველო, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტი და დიდი ჯიხაიში აღნიშნავს ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 180-ე საიუბილეო წელს. ეს წელი მთლიანად დიდი ნიკოს შემკვიდრების გახსენებისადმი, ამ შემკვიდრების ინსპირაციების მიღებისადმი არის მიძღვნილი. დღეს ნიკოლაძეების მამული მასპინძლობს ღონისძიებას სერიალს, რომელიც დიდი თერგალაქელის, ევროპელი ქართველის, მეცენატის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, ნიკო ნიკოლაძის ხსოვნისადმი არის მიძღვნილი.” – სახლ-მუზეუმის დირექტორი გიორგი ფანცულაია ამ სიტყვებით შეუძღვა დამთვალიერებელს მუზეუმში და ღონისძიებათა ნუსხა გააცნო, რაც, თავის მხრივ, კონფერენციას, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური შემკვიდრების მეათე ტომის პრეზენტაციას, სახალხო სეირნობას მუზეუმის ულამაზეს ეზოში, ღია კარის დღეს, ფოტოგამოფენას სახელწოდებით “ნიკოლაძეები და ფოტოგრაფია” მოიცავდა. ნიკოლაძეების სახლის ულამაზეს აივანზე, გიორგი ნიკოლაძისადმი მიძღვნილ საჯარო ბლიც ტურნირი საერთაშორისო დიდოსტატმა და ვითაც ჯოჯუამ სამტრედიელ საჯარო სკოლის აღსაზრდელებთან გამართა, ისევე როგორც გასულ წლებში, ღონისძიებაში წელსაც ჩართულნი იყვნენ მე-11 საჯარო სკოლის “ნორჩი გიდეები”, რომლებიც მუზეუმში უხვად მისულ დამთვალიერებელს დიდი მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ასაკის მიუხედავად, კომპეტენტურად მოუთხრობდნენ.

ჯვართამაღლების 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის ტკივილიან დღედ იქცა საქართველოსთვის. ამიტომ, სამი ნოემბერი ოპტიმალურ დროდ მიიჩნეეს ორგანიზატორებმა ამ თარიღის აღსანიშნავად. ოქტომბრის წვიმიანი დღის მიუხედავად, დამთვალიერებელი არ აკლდა ნიკოლაძეების სახლ-მუზეუმად ქცეულ ფუძეს – იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელ პირებთან ერთად, რეგიონში და არა მხოლოდ რეგიონში მდებარე სახლ-მუზეუმების ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო სტრუქტურების წარმომადგენლები, რიგობით მოქალაქეები სუსხიანი დღის მიუხედავად მრავლად იყვნენ სტუმართა ნუსხაში. ჩამოსულნი გახლდნენ ქუთაისიდან, ნიკოს დაარსებულ ქალაქ ფოთიდან, დედაქალაქიდან. “როგორც ნიკოლაძე სწავლობდა საზოგადოების ფართო ფენებს, ღონისძიებით საზოგადოების ფართო ფენები დაინტერესდნენ.” – დასძენდა გიორგი ფანცულაია. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მერი და ვითაც ბახტაძე, მისი მოადგილეები, ღიად ზაქრადე და გიორგი მუშივილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და ადგილობრივი საკრებულოს დეპუტატები, მუზეუმის წარმომადგენლებთან ერთად მასპინძლობდნენ იმდენადვე ფართომასშტაბიან სახეიმო სანახაობას. ღონისძიების ორგანიზატორი, მერიის კულტურის სამსახური და მისი ხელმძღვანელი, ნატალია მანჯგალაძე გახლდათ.

გარეთ წვიმა ძალუშად უშენდა, საუკუნეზე მეტი წელი სახლის სიმკვდროვე აქაურ გარდასულ დღეთა დიდებაზე შემოდგომის უცბად აცივებულ დღეს განსაკუთრებული რომანტიზმით ჰყვებოდა. თითქმის ორი საუკუნის წინანდელი ნიკოლაძეების მამული კოეთეს სიტყვების სიმართლეზე მეტყველებდა – “წმიდათა წმიდაა ის ადგილები, სადაც დიდი ადამიანი ცხოვრობდა, ასეული წლების შემდეგ შთამომავლობისთვის აქ ახად სიცოცხლეს იქნის მისი საქმე და ნააზრევი.” “წვეთის, სამტრედიელისთვის, განსაკუთრებით საამაყოა, რომ დიდი ჯიხაიშის ტერიტორიაზე მდებარეობს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. რამდენჯერაც არ უნდა ესტუმრო ამ დალოცვილ ფუძეს, იმდენჯერ რაღაც ახალს აღმოაჩენ ერთი შეხედვით კარგად ნაცნობ მის ეზო-კარში. არაფერს ვამბობ ამ დირსეული მამულიშვილის ნააზრევსა და ნამოდგაწარზე. ის, რომ ნიკო ნიკოლაძეს “კაცი სახელმწიფოს” სახელით მოიხსენებდნენ, ცნობილი ფაქტია და რაც მთავარია, იგი ამართლებდა ამ შედარებას. დღეს მისი დაბადებიდან 180 წლისთავს აღვნიშნავთ. შევეცა-



დეთ, შთამბეჭდავი ყოფილიყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ეგიდით მოწყობილი ღონისძიება. დიდ მამულიშვილს ჯეროვანი დაფასება სჭირდება.” – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ.

ბუნებრივია, არც მაშინ განიცდიდა, როცა სახლ-მუზეუმად ქცეული მამულის მეპატრონეები ცხოვრობდნენ და არც ახლა, ნიკოლაძეების ფუძე-კარი ინტელექტუალი სტუმრის ნაკლებობას. თუმცა, სასურველზე უფრო ქვეყნისთვის საჭიროა, ახალ-გაზრდობა მეტად ინტერესდებოდეს, უფრო ზუსტად, მეტად დაინტერესოს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პროგრესულად, ევროპულად მოაზროვნე მამულიშვილის იდეებით.

გაგვიწვიმა-თქო იმ დღის ოქტომბერმა და ნიკოლაძეების მამულში, ასწლოვანი ხეების ჩრდილში ჩაქრული სცენის ნაცვლად, ღონისძიების მხატვრულმა ნაწილმა სამტრედიის, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე გადაინაცვლა. ამიტომ, სწორედ აქ გაიმართა დაგეგმილი სანახაობების მეორე ნაწილი. გიორგი სისარულიძის რეჟისორობით დადგმული თეატრალიზებული წარმოდგენა “მოგზაურობა ნიკოს ეპოქაში”, სადაც ნიკო ნიკოლაძეს მსახიობი რადი შენგელია განასახიერებდა, სცენიდან თეატრალური გამოშსახველობით ამბობდა დიდი მამულიშვილისადმი მადლიერი შთამომავლობის სათქმელს. კულტურის ცენტრის ფოიე ადგილობრივი მხატვრების ტილოებითა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენით გახლდათ დატვირთული.

ნიკოლაძეების მამულში ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენაზე განსაკუთრებით ეფექტური იქნებოდა ის საკონცერტო სანახაობა, რომელსაც უამინდობის გამო კულტურის ცენტრმა უმასპინძლა. ჯგუფ “რანინასა” და “ალეგროს” კონცერტი საიუბილეო სანახაობათა გემოვნებით მოწყობილი ციკლის ადფრთოვანებას გადაცდენილი დასასრული აღმოჩნდა.

და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ 180 წლის წინ საქართველოში დაიბადა კაცი, რომლის არაერთი ტიტული საამაყოდ და უდიდესი პასუხისმგებლობით სატარებელ წოდებაში გაერთიანდა – ღირსეული მამულიშვილი!

# ნინო სტურუამ ოცნებს აინსოვოს

სამტრედიის ქალაქის პირველი საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგმა, ნინო სტურუამ კემბრიჯის უნივერსიტეტიდან მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული პედაგოგიური ჯილდო მიიღო. ამდენად ნინო სტურუა ინგლისური ენის საერთაშორისო მასწავლებელი გახდა. მას ამიერიდან უფლება ეძლევა, ინგლისური ენა ასწავლოს მსოფლიოს 50-ზე მეტ განვითარებულ სახელმწიფოში.

“ყველა ადამიანს თავისი ოცნება აქვს, მათ შორის მეც. ეს სერტიფიკატი ჩემი ყველაზე დიდი, პროფესიული ოცნების ასრულებაა. დასტური იმისა, რომ ვარ ინგლისური ენის საერთაშორისო მასწავლებელი, მაქვს უფლება, ეს ენა ვასწავლო მსოფლიოს 50-ზე მეტ განვითარებულ სახელმწიფოში და ეს უფლება თავად კემბრიჯმა ოფიციალურად მომიანიჭა”. – კიდევ ერთ წარმატებას ასე ეხმაურება სოციალურ ქსელში, საკუთარი ფეისბუქგვერდიდან სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი ნინო სტურუა.

ნინო ნანიტაშვილი



## 30 წელი სოხუმის დაცემიდან

### მე დაკარბულად არ ჩავთვლი იმას, რას ჩემი ნებით არ დაშითია

ლევან ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებები რომ საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ არახალია. სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა და...

კიდევ ერთ ღონისძიებაზე მივდივართ 26 სექტემბერს აქაურებმა. საღამო მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ გახსნა, რომელმაც მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისთვის. ღონისძიების წამყვანმა, გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბუნაშვილმა ქართულ-აფხაზურ პერიპეტებსა და ომში სამტრედიელთა წვლილის შესახებ ისაუბრა.

დარბაზში იმყოფებოდნენ აფხაზეთის ომის სამტრედიელი მონაწილეები, დევნილები აფხაზეთიდან, ინტელიგენციის წარმომადგენლები, საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია, საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნებას” თავმჯდომარე, ტარიელ დვალისვილი, საკრებულოს წევრი, კობა ძიძიგური.

ომის უმძიმესი დღეები გაგვახსენეს და პატრიოტული ლექსებით, რომ იტყვიან, ცეცხლი დაანთეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა, სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავ-

ლეებმა.

ცრემლმორეული ისმენდა დარბაზი დევნილი ქალბატონის, სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის პედაგოგის, შორენა ანჯაფარიძის, გულრიფშელი დევნილი, მერაბ გოგიას საოცრად ემოციურ გამოსვლებს.

თავისთავად ემოციური იყო ომის ვეტერანების, რადი შენგულიასა და გია სტურუას გამოსვლა. ტაშით შეხვდა დარბაზი მსახიობისა და რეჟისორის, ვეფხია ნადირაძის მიერ წაკითხულ ლექსს. პატრიოტული შინაარსის გახლდათ აგრეთვე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, პოეტ მაყვალა ჩირგაძისა და დეკლამაციის სიმტრედიელის, ნათელა გელაშვილის მიერ წაკითხული ლექსები. ნათელა გელაშვილმა იმ აქციის შესახებაც ისაუბრა, ომის მძვინვარებისას რომ განხორციელდა და მშვიდობისმყოფელის ხასიათი ჰქონდა, თავადაც ხომ ამ აქციის მონაწილეა.

ყოული შარტავას გმირობისა და თავგანწირვის შესახებ ისაუბრა და ახალგაზრდებს ჩვენი ერის ისტორიის უკეთ შეცნობისაკენ მოუწოდა კიდევ ერთმა დირსეულმა სამტრედიელმა, გია ბოჭორიშვილმა. საინტერესო იყო პედაგოგ მარინე ქართველიშვილის მოკლე, თუმცა დრამაშინაარსიანი გამოსვ-



ლა.

შეაჯამა რა საღამო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, აფხაზეთის ომის მონაწილემ ნუგზარ ჯამბურია ემოციის გარეშე ვერ შეძლო ომის მიმდევარების და დაღუპულთა გახსენება, მანვე მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის მესვეურთ, ღონისძიების ორგანიზატორებს საინტერესო, შთამბეჭდავი, პატრიოტული საღამოს მოწვეობისათვის და საყოველთაო მშვიდობის სურვილით დაასრულა სათქმელი. სამადლობელი არც საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარესა და ვეტერან სპორტსმენს, ფეხბურთელს, ტარიელ დვალისვილს დაუშურებია ნორჩებისადმი, რომელმაც თავისი ახალგაზრდობის მეგობარი, ასევე ფეხბურთელი გურამ გაბესკირია გაიხსენა.



გულწრფელი იყო ღონისძიების შეფასებისას და სამადლობლის გამოხატვისას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, აფხაზეთის ომის ვეტერანი კობა ძიძიგური.

საღამოს ორგანიზებას დიდი ამაგი დასდეს სამკითხველო დარ-

ბაზის ხელმძღვანელმა, რუსუდან კახიანიამ და საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსმა, იზაბელა ლეგაშვილმა.

სევდიანები, თუმცა აფხაზეთში დაბრუნების ეჭვშეუვალი იმედით ტოვებდნენ დარბაზს საღამოს მონაწილენი.

## აფხაზეთი ჩვენია!

27 სექტემბერი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის მორიგ ღონისძიებაზე მივდივართ. თემატიკა ცნობილია – აფხაზეთი, სოხუმი, დევნილები... ღონისძიება ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელს, მარინა ქართველიშვილს მიჰყავდა, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ცამეტწიანი ომის მიმდევარების და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა.


საჯარო სკოლებში საგუშაგოები გავხსენით, ერთ-ერთი ასეთი საგუშაგო №11 საჯარო სკოლაში გვაქვს, დღეს ამ სკოლის მე-4 კლასელები არიან აქ წარმოდგენილები, პედაგოგ ლიკა გოგიას ხელმძღვანელობით. – აუწყა მან დარბაზს.

საოცარი პათოსით წაიკითხეს პატარებმა ლექსები, წკრიალა ხმებით მამულს თავდადება აღუთქვეს და უცნობ აფხაზ თანატოლებს წერილები გაუგზავნეს. საღამოს მსვლელობისას წარმოჩნდა იმ დიდი შრომის შედეგი, რაც მასწავლებელ ლიკა გოგიას გაუწევია ღონისძიების მომზადებისთვის. ვერც აქ გაიხსენეს ცრემლისა და ემოციის გარეშე აფხაზეთში დარჩენილი სახლ-კარი, მეგობარ-მეზობლები მერაბ ჭავჭავაძემ და მერაბ გოგიამ. პატრიოტული ლექსებით ჩაერთვნენ ღონისძიებაში დები ვაშაკიძეები. ამაღელვებელი იყო დანი ბარბაქაძის გამოსვლა.

დაბოლოს, ჩატეხილი ხიდი უნდა გამრთელდეს, უნდა აღდგეს ქართულ-აფხაზური მეგობრობა, ქართულ-აფხაზური კულტურის, ტრადიციების, კიდევ მეტად დაახლოებით, სახალხო დიპლომატიის წყალობით, ისტორიის უწყვეტობით, მეგობრობით, მშობლივით, მიმტვევლობით...

ეს საღამოც ხომ ამის ნათელი გამოხატულება იყო. ყოჩაღ, ბავშვებო! დიახ, აფხაზეთი ჩვენია!

ლევან ბაბუნაშვილი



ნათია ნაცვლიძე

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური მუშაობა სკოლაში "ტერმინოლოგიის მეგობრები"

თსუ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნით

ლექსიკონებისა და ტერმინოლოგიის განყოფილება და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლა 2022 წლის აპრილიდან ასორციელებენ ერთობლივ პროექტს.

იდეის ავტორია განყოფილების ხელმძღვანელი ლია ქაროსანიძე. პირადად მისი შემოთავაზებით სკოლის მოსწავლეები ერთიანდებიან საენათმეცნიერო წრეში.

სკოლის მოსწავლეები სამეცნიერო მოხსენებებით წარსდგნენ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე "სამეცნიერო ტერმინოლოგია VIII". ფრიად შთაბეჭდილი ამბავია!

მოსწავლეები იქ პედაგოგ ნინო ტონიასთან ერთად იმყოფებოდნენ. სამეცნიერო აუდიტორიის წინაშე მოხსენებები წარადგინეს მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებმა: გიორგი მანჯგალაძემ, ანანო გვენეტაძემ, მარიამ კობალეიშვილმა, მარიამ თოთაძემ, ბარბარე დარჯანიამ, ანასტასია ვაშაკიძემ.

მოსწავლეებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციას დაესწრო მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი, ეკა კოპალეიშვილი. "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა კონფერენციის მონაწილეებს და კომენტარი სთხოვა:

ნინო ტონია: "სიახლე, რომლის შესახებაც დღეს ვაცნობებთ ფართო საზოგადოებას, გახლავთ მეცნიერებისა და სკოლის ახალი ტიპის თანამშრომლობა არაფორმალური განათლების მიმართულადაა. პროექტი უკვე ორი წელია ამოქმედდა და ინტენსიურად მუშაობს, ამჯერად შემოგვთავაზეს ჩართვა მეცნიერთა. აქ უჩვეულო არის ის, რომ მეცნიერება ისმენს მოსწავლეთა ხმას, აინტერესებს მათი ტერმინოლოგიური წარმოდგენები, ენათმეცნიერული ხედვები. მაღლობა უნივერსიტეტს მაღალი ჯილდოსა და წახალისებისათვის. გასახარია, რომ მოზარდების ტერმინოლოგიურმა საჭიროებამ ყურადღება უკვე მიიპყრო და ფართო მოძრაობად ჩამოყალიბების სურვილი გააღვივა სახელმწიფო ენის ქომაგთა საზოგადოებაში.

კონფერენციას მოვახსენე ჩემი იდეა და სამოქმედო გეგმა, რომელთაგან უმთავრესია: მეორეხარისხის გაფორმება სამეცნიერო დაწესებულებასთან, განათლების სამინისტროს წინაშე არჩევით საგნად ტერმინოლოგიის დამატება სასკოლო-სასწავლო ბადეში, სასკოლო სახელმძღვანელოს თხოვნა ტერმინოლოგიის განყოფილებისათვის, ინტენსიური შეხვედრებისა და კონფერენციების დაგეგმვა.

მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა მაღლობა იდეის ავტორს, ლია ქაროსანიძეს და ინსტიტუტის დირექტორს, ნანა მაჭავარიანს, მათ საოცრად მზრუნველი და ყურადღებიანი გარემო შეგვიქმნეს, დასამახსოვრებელი იყო ხემსი, რომელზეც ტორტის გაჭრის პატივიც კი გვერგო."

ანასტასია ვაშაკიძე: "ჩემთვის

ძალიან ამადელებელი, საინტერესო და ნაყოფიერი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს ინტერნეტითაც ვადევნებდით თვალს. უშუალო მონაწილეობამ და სწავლულ მეცნიერთა გარემოცვაში ყოფნამ დაგვაფიქრა იდეისადმი მოპყრობის კულტურასა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე. მაღლობა იდეის ავტორსა და კონფერენციის ორგანიზატორს, ქალბატონ ლიას, რომელმაც მოგვცა ჩვენი მასწავლებლის დახმარებით შექმნილი მოხსენებების წარდგენის საშუალება."

ბარბარე დარჯანია: "ნინო მასწავლებელმა დაგვითმო პირადი დრო, დიდხანს, ხანგრძლივად გვამეცადინა, სამზადის დასჭირდა არდადეგების საათები, გვაწავლა, თუ როგორ უნდა აკადემიური, მაღალხარისხის საენათმეცნიერო ნაშრომის შედგენა, ლიტერატურის დამოწმება, გავიგეთ რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების შესახებ, მოძიებული ლექსიკური ერთეულის პასპორტიზების წესები. მაგალითად, ჩემთვის უცხო იყო, რომ ბებოსგან ჩაწერილი სიტყვა აუცილებლად მისი გვარ-სახელის, წარმოშობისა და ასაკის მითითებით უნდა დამეცოწმებინა, როგორც ფაქტი. მეცნიერულ მუშაობას განსხვავებული კანონები ჰქონია და ეს საკონფერენციო სამზადისისას გავიგე. ასევე

სიაა... ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლო იყო მოხვედრა კმშობლიური უნივერსიტეტის კედლებში, ათეული წლის წინანდელი მონატრებული ატმოსფეროს შეგრძნება, ამ ყველაფერს განახლებული ემოცია და განცდა ახლდა თან... საპასუხისმგებლო იყო საკუთარი მოსწავლეების წარდგინება ამ საპატრიარქოს სამეცნიერო აუდიტორიის წინაშე. სკოლაში ამ საქმის ხელმძღვანელია ქართული ენისა და



ჩვენ გვქონდა ლექსიკონზე მუშაობის გამოცდილება, მაგრამ თეზაურუსის მნიშვნელობა ტერმინის დადგენისას სიახლე იყო და საინტერესო."

ნანო გვენეტაძე: "მაღლობა ამ შესაძლებლობისათვის."

გიორგი მანჯგალაძე: "ჩემს მოხსენებაში სიახლე იყო მეტი ინფორმაცია გვქონდეს ციფრულ სივრცეში (ენციკლოპედია და ვიკიპედიაში) გააქტიურებული ტერმინოლოგიური პროცესების შესახებ.

მარიამ კოპალეიშვილი: "მოიწონეს ჩემი მიერ შეთავაზებული 'კალთაგანი' ინგლისური კარდიგანის ნაცვლად."

მარიამ თოთაძე: "ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოხსენების წაკითხვა და დიპლომით დაჯილდოება ჩემთვის დიდი პატივია"

ეკა კოპალეიშვილი: "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი სკოლის სახელით დიდი გამოწვევა და საპატიო მი-

ლიტერატურის მასწავლებელი, გამორჩეული, ნოვატორი, თავისი საქმის პროფესიონალი, ჰუმანური, მოსწავლეებს ორიენტირებული, მოსწავლეების ქომაგი და მეგობარია, ნინო ტონია. ქალბატონი ნინო ტერმინოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო მოღვაწეობას უკვე წლებია ასორციელებს. აქტიურად მუშაობს სკოლის ტერმინოლოგიის წრე, რომელიც ლია ქაროსანიძისა და ნინო ტონიას ერთობლივი ძალისხმევით სკოლის მოსწავლეთათვის შეიქმნა. ბავშვები თავად იხევენ ინიციატივას, ეძებენ, იკვლევენ, აგროვებენ მასალებს და თავს უყრიან ქალბატონ ნინოსთან ერთად, აწყობენ კონფერენციებს, სამუშაო შეხვედრებს, იწვევენ უმცროსკლასელებს.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეკავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლურ სკოლასა და ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის თანამშრომ-

ლობა დაიწყო 2022 წლის 14 აპრილს. ქალბატონი ლია ქაროსანიძის გამოსვლა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში შთაბეჭდილი აღმოჩნდა სკოლის მოსწავლეებისათვის. სამეცნიერო წრის მუშაობა მზარდია და სულ უფრო მეტი მოსწავლე ერთვება მასში.

2023 წლის 25 სექტემბერს თსუში გამართულ კონფერენციას სტუმრობდა "ტერმინოლოგიის მეგობრების" მხოლოდ ნაწილი. უნივერსიტეტის კედლებში მათი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინო ტონიამ და ჩვენმა მოსწავლეებმა კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ტერმინოლოგიის საკითხებზე, მათ ფართო აუდიტორიის წინაშე ისაუბრეს ახალი და კარგად დაიწვევად ტერმინების მრავალფეროვნებაზე თავისი კუთხური დამახასიათებელი ტერმინოლოგიის დიდი ინტერე-

სი და მოწონება დაიმსახურეს. მოსწავლეებმა დიდი თავდაჯერებულობით უპასუხეს დარბაზიდან წამოსულ მსმენელთა შეკითხვებს და დამაჯერებლად ახსნეს თითოეული პასუხი, რის გამოც აპლოდისმენტები დაიმსახურეს. დასასრულს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნანა მაჭავარიანმა მონაწილე მოსწავლეებს თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

ნიშნდობლივია, რომ ამ სამეცნიერო კონფერენციის ერთადერთი მონაწილე მოსწავლეები იყვნენ მხოლოდ მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად დაიკავეს ტრიბუნა და თავიანთი სიტყვათი თქვეს ტერმინოლოგიის შესახებ მოღვაწეობის ისტორიაში. ჩემთვის დიდად სასიხარულო და საამაყო იყო ჩვენი სკოლის წარმატება. მაღლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ენათმეცნიერების ინსტიტუტს, მთელ შემოქმედებით კოლექტივს ქალბატონ ნანა მაჭავარიანის ხელმძღვანელობით და კონფერენციის ყველა მონაწილეს. წარმატებებს ვუსურვებ მათ ამ საშვილიშვილო საქმეში, რასაც ქართული ტერმინოლოგიის შენახვა-შენარჩუნება, ქართული ენის სიწმინდის დაცვა ჰქვია."

ლია ქაროსანიძე: "ტერმინოლოგიური ძიებები, ახალი ტერმინის შექმნაზე ფიქრი, მიგნებები საინტერესო პროცესია, თუმცა ტერმინოლოგიის ორ თუ, ზოგადად, ლექსიკოგრაფიული საკითხები მოსწავლეთათვის ჯერ დამუშავებული არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის ინიციატივა, რომელიც გამოიჩინა გამორჩეულმა მასწავლებელმა, ნინო ტონიამ. მან არამხოლოდ დაინტერესდა თავისი მოსწავლეები, არამედ პატარა კვლევებიც დაუსახა მიზნად. არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე" სამეცნიერო ტერმინოლოგია VIII" სამტრედიელმა მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად წარმოადგინეს მცირე დაკვირვებები, მოხსენებებში ისაუბრეს ბარბარე ვაშაკიძის, ნეოლოგიზმებზე, დიალექტურ ლექსიკაზე, ვიკიპედიაში ასახულ ტერმინოლოგიურ მასალაზე, მსჯელობისას თავისუფლად იყენებდნენ სამეცნიერო ლიტერატურას, რამაც კონფერენციაზე შეკრებილი საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. უპირველესად, უდიდესი მაღლობა ეკუთვნის ქალბატონ ნინო ტონიას, რომელმაც დააარსა წრე "ტერმინოლოგიის მეგობრები", შეძლო მოსწავლეების გაერთიანება და სამეცნიერო საკითხებით დაინტერესება."

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ქართული ტერმინოლოგიის, ენის განვითარება და მასზე ზრუნვა მომავალი თაობის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა. არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნით ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება გააგრძელებს "ტერმინოლოგიის მეგობრებთან" ურთიერთობას და მომავალში ჩართავს კიდევ მოსწავლეებს ინსტიტუტის მნიშვნელოვანი პროექტის"- ქართული ტერმინოლოგია"- სამუშაოებში, რაც, ვფიქრობთ, სამაგალითო იქნება სხვა სკოლებისთვისაც."





# ემელიანე კილაძე მართლმადიდებლურ სკოლაში ეკო-კლუბის წევრებთან

6060 ნანიტაშვილი

2023 წლის 5 ოქტომბერს ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლურ სკოლას, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტი შპს "ლურჯი ბაშის" თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, გერმანიის ქალაქ იულიხის კვლევითი ცენტრის მკვლევარი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და გერმანიის კერძო კომპანიის – ბაიერის ფონდის სტიპენდიანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მოწვეული დოქტორი და სამტრედიის №12 სკოლის კურსდამთავრებული, ემელიანე კილაძე სტუმრობდა. ემელიანე კილაძემ ეკო-კლუბის წევრებს საინტერესო პრეზენტაცია წარუდგინა ლურჯი მოცვის კულტურის შესახებ. მან ფართოდ ისაუბრა ლურჯი მოცვის საქართველოში არსებული სიახლეების და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ლექცია აქტიურ და საინტერესო ატმოსფეროში მიმდინარეობდა. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე სკოლის მასწავლებლები და უფროსკლასელი მოსწავლეები.

“მადლობა ამ შეხვედრის ინიციატივისთვის, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ნინო ტონიას. უდრამეს მადლობას ვუხდით ბატონ ემელიანე კილაძეს ამ მნიშვნელოვანი ვიზიტისთვის და იმედს ვიტოვებთ, სკოლის ეკო-კლუბის წევრებთან ერთად მომავალი თანამშრომლობის”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში აღნიშნა მართლმადიდებ-

ლურჯი მოცვის პლანტაციაში. ეკოკლუბის წევრები გაეცნენ, ასევე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და გერმანიის ქალაქ იულიხის კვლევითი ცენტრის დეიამიწის შემსწავლელი ინსტიტუტისა და მცენარეთა ფენოტიპირების ცენტრში ლურჯ მოცვთან დაკავშირებულ მიმდინარე კვლევებს. შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, დიდი ინტერესი იყო მონაწილეებისგან. მოსწავლეებმა დასვეს მათთვის საინტერესო შეკითხვები ლურჯი მოცვის წარმოებასთან დაკავშირებით. შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ეკო-კლუბის წევრები მომავალშიც მიიღებენ მონაწილეობას, როგორც ლურჯი მოცვის სამეცნიერო საქმიანობაში, ასევე წარმოებისთვის საჭირო სხვადასხვა აქტივობებში”.



ბაღეჩა

## ჯერ სიბერემდე ჯგერა ბჭერიამთ!

ერთად ვებრძობითო, ამ სიტყვებით ვაგვაცნო ჩვენი გაზეთის დიდმა მეგობარმა ბატონმა როლანდ ღირდალაძემ ჩვენთვის უცნობი მისი თანაკურსელი, რომელიც ერთობ საინტერესო პიროვნება და ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. მაშ ასე, რუბრიკაში დღეს ბატონ თენგიზ იოსელიანს ვაგვაცნობთ, იგი დედით სამტრედიელია, თუმცა, რედაქციას პირველად სტუმრობს, ამდენად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს კიდევ ერთი ღირსეული კაცის შესახებ მოვუთხროთ მკითხველს.

1947 წელს დაიბადა. გვიშტიბის (წყალტუბო) საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრებისთანავე, ქუთაისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა ქიმიკ-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დასრულებისთანავე მუშაობა წყალტუბოში სანატორიუმ “მეგობრობას” კლინიკურ და ბიოლოგიურ ლაბორატორიაში ლაბორანტად დაიწყო. საერთო ჯამში ბატონმა თენგიზ იოსელიანმა 57 წელი იმუშავა სანატორიუმ “მახტორში”, “რკინიგზაში” და ა. შ.

1995 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა მოსკოვის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო ინსტიტუტში, შემდეგ იყო სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. ავტორია წიგნებისა: “კურორტი წყალტუბო”, “სოფელ გვიშტიბის ღირსეული ადამიანები”, “ისინი ემსახურებოდნენ კურორტ წყალტუბოს”. გახლავთ თბილისის კონიაშილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბიოლოგიური საბჭოს წევრი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე.

ჰყავს მეუღლე, ექიმი მერი ჯიქიძე, რომელიც ამჟამად სანატორიუმ “ნიკალას” მთავარი ექიმა, ქალიშვილი გვანცა იოსელიანი სამშენებლო ფირმა “რედიქსის” ფინანსური მენეჯერია.

რედაქციაში ხანმოკლე სტუმრობისას სასურველ და საპატიო სტუმარს გაზეთის ლამის საუკუნოვანი ისტორია გაგაცანით, გაზეთისა და რედაქციის ძველი და ახალი თაობის საქებარი სიტყვები ბატონმა როლანდ ღირდალაძემაც დაგვაწია და, როცა სტუმარს გაზეთის მოახლოებული იუბილეს შესახებ ვაუწყებ, დიდი პატივისცემით მოგილოცა რედაქციის თანამშრომლებს, მკითხველს გაზეთის კიდევ ერთი იუბილე.

მადლობას ვუხდით ბატონ როლანდ ღირდალაძეს მისი თანაკურსელისა და სიყრმის მეგობრის, ერთობ საინტერესო პიროვნების გაცნობისათვის, უღვე სიხარულსა და წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ მას და ბატონ თენგიზ იოსელიანს კეთილის მყოფელთა გასახარად.

ლევან ბაბუჩავა



ოქრას დედათა მონასფრში...

სულის სიმყუდროვეში მომდუმარე ხატებთან, იმ დღის თბილი დაისი მოგვეპარა ქურდივით. აყოლილან ბილიკებს წლები უმისამართო, - მწვანე ჩითის კაბაში, წითლად ღვივდა ყაყაჩო. ლოცულობდნენ მტრედები, გადაცმულნი ძაძებში, უხდებოდა კლდის ქიმებს გვირილების ანთება. ამ მაღლიან მხარეში ნატვრად მექცა განენა - და ამიტომ ვერ ვთმობდი, დიდხანს მსურდა დარჩენა.

\*\*\*  
 თავში იხლიდა აპრილი იფნებს, გარშემო იღვა ფოთოლთა ტბორი, "სინუმე" იყო საოცრად იმ დღეს და მიდიოდა ქუნაში ორი. თვალეში ყრმობის უმწიფარ სევდას ვერ უკარგავდა მანძილი შორი, მალული ცქერით სივრცეში ჭერებდნენ, ერთს ერქვა "ქმარი", მეორეს "ცოლი".

\*\*\*  
 უფალო აზიდე ეგ ჯვარი ჩემს მხრებით, სიკეთეს აქ სულმთლად ხომ ჩალის ფასი აქვს, სიმართლე ვის უნდა, სიმწარეს ვემხრებით და მერე მდუმარე სიტყვებით დადიან. მოდი და სუყველას დაგვაღე სასჯელი! მიკვირდა ამ ციფრებს, ნულუბი რად უნდა?! მოდი და გააღე დახშული კარები, - სიყვარულს, შენდობას, საფასე რად უნდა.

\*\*\*  
 დასაბამიდან ვარსებობ თითქოს, სული დაჭრილა იატაკანიო. უხილავ შლეგებს მოვდეგ და ვფიქრობ, ჩემი ადგილი ნეტავ სად არის. მიწიდან ფეხის წვერებზე ვდგები, ვღებუ და ჩნდება სიცარიელე, თუ უშენობას მოაქვს სიბნელე - მოდი შენობით გამაძლიერე...

\*\*\*  
 წყალგაღმა ერთი ხუხულა მიღვას, იღვიძებს დილა, მზით მის მკლავებში, ამონათება ღიობებს იპყრობს, მერე ცეკვავენ უცხო მხარეში. ნიავე მწყრალად დარაბებს მიქსოვს, და წვიმას ფანტავს არემარეში, წვეთი მოადგა ღრუბელს უსიტყვო, როგორც ბავშვს მეღვა მტირალ თვალეში.

\*\*\*  
 აღარ გვეყავს ფიცხი მუხრანი, არც ვაჟა, აღარც ოტია. გრძელ სიტყვას მოკლედ თუ იტყვი, უსუსურობა როდია! - შენ კაცი მითხარ, თორემ კაცუნებს ბევრს ვიცნობ მიდი-მოდიან!

\*\*\*  
 ჩემს ბჭის კარს ჯაჭვი შემოეხვია, დასვედიანდა ბალში ძახველი, აღარც ბებო და აღარც გალია, მეც გამოვხურე ბოლო სარკმელი. ჩვენ შორის ჩადგა სიბნელის შირმა და ტკივილების კორიანტელი. კედელზე დარჩა ჩარჩო და იქვე - ამოკაწრული ჩემი სახელი.

\*\*\*  
 გარეთ ამინდი აირია, გწერდი, ძვირფასო, ქარმა საკალმე გადამიგლო ბოლო აბზაცზე, და დარაბებიც დამისურა, როს ამას წინათ, ხვალ წამიყვანენ დასაწვენად აბასთუმანზე. ახლა ვერ გეტყვი იქ უშენოდ თუ მიშველიან! იქნებ უფაღმა არ გამწიროს უცხო მიწაზე, მინდა, სიკვდილი გაგაჩხოთ თუ დამაცლიან, რაკი დღეები დამითვალეს აღსასრულამდე, გემშვიდობები, ჩემო ძვირფასო, გემშვიდობები... მაისობამდე,

ვარდობამდე, გაზაფხულამდე...  
 მონაშენთა თავშენსაფარში

“დღეს კათარზისში გავიციანი მოხუცი, რომელიც: ოთხი შეილის მამა ცხრა შეილიშეილის ბაბუა, ხუთი შეილთაშეილის დიდი ბაბუაა და მე გამოვაკელი 18 ადამიანი საქართველოს”.

ანა ლაშხელი  
 თებერვალია, ხმაურობს ისევ აკორდი ძველი, თებერვალია, - შენი თვეა სხივები მათბობს, ამღერდა შენი აზარფეშით მთვრალი იელი და კვლავ ღრუბლიდან გამოპარულ წვეთებად მათოვს. აქ ვერცხლისფერი დაისია, დროც უღმობელი, და აქაური მდუმარებაც საოცრად მაკრთობს, მოხუცის ხელი, ნელთბილი ხელი, იმ სიცივეში როგორც ის კოცნა, პირველი კოცნა მე დღემდეც მასსოვს. ეელს მიბჯენილი ბოღმის ბურთი ვით თოფის ლულა, სიტყვებს ჯერ ართქმულს ჯერ არგაგონილს უთქმელად



ახშობს, ვხედავდი, როგორ იცილებდნენ ნაშობნნი ნაშობს და ეს უთქმელი უსამართლობა მხოტავს და მახრნობს. \*\*\*  
 ვარდობის თვეა, მიჯრით მივიწვევ, ბაქანთან ვდგავარ, წამსვლელებს ვუცდი, იგვიანებდა მატარებელი ცამ აირეკლა მიწის ზურმუხტი. აქ ცივა, უფრო მზისკენ მივიწვევ - ნაზამთრალ დღეებს ატყვია სუსხი, ქარში ათასი ფიქრი მეზმა-

ნა, არმოსულ დღეზეც რატომღაც ვწუხდი. \*\*\*  
 სულაც არა ვარ უტყვი და უხმო, ძნელია ბრძოლა, - სული მწარეა. სიტყვა და ღმერთი?! ღმერთი და სიტყვა?! ეს უსრულობის ორი მხარეა და პოეზია, შენთვის თუ უცხო, ჩემთვის მეორე იორდანეა!... გოგინა (გალაქტიონ) გიორგაძე  
 ხევისწყლისპირელი

**ყურადსაღები შოგინება!**

მიმდინარე წლის 15 ივლისს გაზეთ "სამტრედიის მაცნეში" გამოქვეყნდა ღვაწლმოსილი სამტრედიელის, გია ბოჭორიშვილის წერილი.

“მიზანშედდებობრივი ამოცანა”, სადაც მოჰყავს პოეტ მუხრან მაჭავარიანის მოწოდება - “პასუხის გამხადე ღირსი!” წერილში ასევე ავტორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ როდის ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: “ერი თავის გმირებში ჰპოვოლოს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობას, თავის ხატს და მაგალითს, ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდბუნევენობის შარავანდელითა და თაყვანს სცემს მას სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყრობა”. სწორედ პიროვნების ზნეობაზეა დამოკიდებული მისი ერის ბედობალი, ზნეობა ის შინაგანი ძალა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს. ამის მაგალითია ერის შვილების: დამაშვრალი მამულიშვილის - ირაკლი ქუთათელაძის და სასულიერო პირის არქიმანდრიტ - ილია კარტოზიას თავგანწირვა, მათ რაც სანუკვარი გააჩნდათ - სიცოცხლე, სხვისი სიცოცხლისათვის გაიდეს, ეს ხომ ზნეობის მწვერვალია.

მომავალი თაობები, ხომ გმირების ღვაწლის გააზრებით უნდა გაიზარდონ. მარადისობაში გადასული შვილების მშობლები ხელისუფლებას გთხოვთ, ქალაქში დაიდგას ქანდაკება - ბარელიეფი “ზნეობის მწვერვალი”, რაც თვალსაჩინო მაგალითი იქნება თაობებისთვის.

ღამარა დუნდუა, თემურ ტორონჯაძე, ბეჟან კაკულია, ნუკრი ქუთათელაძე, გუგუნი ჭანტურია, ზურაბ გოგია, როლანდ ღირდალაძე, ნუგზარ მიგინეიშვილი, ლავანდა ჩიქოვანი, ავთანდილ ბოლქვაძე



### სამტრედიო საბა არაბიძე ჭადრაკში გამარჯვებულია

3-4 ოქტომბერს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა ტურნირები ჭადრაკში, ნარდსა და შაშში.

ტურნირებს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა სტუდენტების მხრიდან. გამოვლიდნენ გამარჯვებულები ჭადრაკში პირველი ადგილი სამტრედიელმა საბა არაბიძემ დაიკავა, მეორე ადგილი – ცოტნე მამულაშვილი, მესამე ადგილი – სალომე ხუცურაულმა. ნარდში: პირველი ადგილი დაეკავა ფარცხაშვილს ერგო, მეორე ადგილი ხეიან გვარამიამ დაიკავა, მესამე ადგილი კი – დათი ნინუა. ნარდში პირველი ადგილი – ანა ბუთხუშმა, მეორე ადგილი – ანი მაისურაძე, მესამე ადგილი – ნინო ჩილინგარაშვილი.

შაშში: პირველ ადგილზე აღექსანდრე ჩიქოვანი გავიდა, მეორე ადგილზე კი აღექსი შურღია, მესამე ადგილი მამუკა სიღამონიძემ დაიკავა.

ნინო ნანიტაშვილი



### გულოცავთ!

ბატონ ვაჟა თვალიაძემ!

კიდევ ერთ დაბადების დღეს გილოცავთ ღირსეულ ქართველს, დეპარტამენტის მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ისტორიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელს, ეხარობთ, სოლიდური ასაკის მიუხედავად კვლავ მსხედ და ამყად რომ გამოიყურებით.

უფალმა მოგმადლოთ მრავალი ბედნიერი წლის სიცოცხლე, იდეგერძელეთ!

ლევან ბაბუნაშვილი

ბატონ ბია ბოჭორიშვილს!

“პირველ სამტრედიელს” ქალაქსა და თანაქალაქელებზე უზომოდ შეყვარებულ ინტელიგენტს, ბრწყინვალე ოჯახის მესაჭეს გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. სიხარული, ბედნიერება და ოცნებათა ასრულება მოეტანოს თქვენთვის წელთა მატებას.


იდეგერძელეთ, ჩემო უფროსო მეგობარო!

ლევან ბაბუნაშვილი

ნაზი ნიკუშაძემ

ტკბილ და თბილ ბებოს, მოამაგეს, მოსიყვარულეს, საუკეთესო სურვილებით გულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და სიხარული დაეუბდოს, მის დიდ ოჯახთან ერთად. ჩვენი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა არასდროს მოაკლდება, დიდხანს უნდა გვყავდეთ ჩვენი დიდი ოჯახის საკეთილდღეოდ

შვილიშვილები და შვილთაშვილები



### სამტრედია-ლინამო 3 : 2

ამ ანგარიშით დაამარცხა სამტრედიის საფეხბურთო კლუბმა “სამტრედია” გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი თბილისის “ლინამო” საქართველოს 35-ე ეროვნული ჩემპიონატის 29-ე ტურის საფეხბურთო მატჩში. იგი კრისტალებო ეროვნული ლიგის გუნდებს შორის 7 ოქტომბერს გაიმართა სამტრედიაში ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე.

სამტრედია ერთი საჩუქრით ვერ ისარგებლა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ბათუმის “ლინამომ”, 8 ოქტომბერს თბილისში, “საბურთალოსთან” ძნელ შეხვედრაში და ფრედ (0:0) დაამარცხა.

ბათუმის “ლინამო” ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტურით ადრე მის უახლოეს მდევარს, თბილისის “ლინამოს” 8 ქულით უსწრებს, რომელიც სულ ახლოს არის ერთწლიანი შეხვედრების შემდეგ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში მეორედ გახდეს საქართველოს ჩემპიონი.

იმედია, აჭარლები ამ უპირატესობას არ გაანიავენ შარშანდელივით.

სამტრედიის “სამტრედია” 30-ე ტურის შეხვედრას 21 ოქტომბერს ქუთაისში, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე გაიმართავს ადგილობრივ “ტორპედოსთან”.

### გამარჯვებულები 30 ოქტომბერს გამოვლინდება

ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემამ “ფრანს ფუტბოლმა” “ოქროს ბურთის” 30 ნომინანტი დაასახელა, რომელთა შორისაა ნეაპოლის (იტალია) “ნაპოლისა” და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის შემტვევი ნახევარმცველი ხეიან კვარაცხელია.

ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელის, რაიმონ კოპას, სახელობის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზისთვის იბრძობებს 21 წლამდელთა 10 საუკეთესო ფეხბურთელი. ასევე ლეგენდარული რუსი გოლკიპერისა და მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მეკარედ აღიარებული დევიდ იაშინის სახელობის პრიზისთვის იბრძობებს 10 საუკეთესო მეკარე.

გამარჯვებულებს “ოქროს ბურთის” გადაცემის სახეიმო ცერემონიაზე გამოავლენენ, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში 30 ოქტომბერს გაიმართება.

### 2030 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს 6 ქვეყანა უმასპინძლებს

4 ოქტომბერს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს – ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით 2030 წლის მსოფლიოს რიგით 24-ე ჩემპიონატი ფეხბურთში ამ ტურნირის ისტორიაში პირველად გაიმართება ერთდროულად 3 კონტინენტის 6 ქვეყანაში – არგენტინაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ურუგვაიში, პარაგვაისა და მაროკოში.

ჩემპიონატის სახეიმო გახსნის შეხვედრა ჩატარდება ურუგვაიში. ფინალურ მატჩს ესპანეთის დედაქალაქის მადრიდის “რეალის” “სანტიაგო ბერნაბეუს” სახელობის სტადიონი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია ის, რომ 2030 წელს ისტორიაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებიდან 100 წელი სრულდება. პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში 1930 წელს ურუგვაიში ჩატარდა და მათივე ტრიუმფით აღინიშნა.

იორამ ნიკოლეიშვილი



### მამა პაპაშას!

“სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელი თანამშრომელს, კარგ ადამიანს, მისაბამ დედას და მეგობარს გულოცავთ დაბადების დღეს. კეთილი სურვილები არ გვკლდება მისთვის, ყველა ასრულებოდეს. ღირსეულად ნაცხოვრებ მის 45 წელს კიდევ ბევრი მიმატებოდეს ბედნიერებით, სიყვარულით, ჯანმრთელობით გასავლელი.

“სამტრედიის მაცნე”

### მადლობა

უღრმეს მადლობას მოვასხენებ უდიდესი გულისხმიერებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის ექიმებს, ასლან ბახტაძეს, ხათუნა ქიშმარიას, თამარიკო ვაშაქიძეს. დმერთმა უმრავლოს სამტრედიას, საქართველოს მხსნელად და იმედად თქვენისთანა კეთილშობილი მკურნალები, ბატონო ასლან, ქალბატონო ხათუნა, ქალბატონო თამარიკო.

უდიდესი პატივისცემით  
დოდო ბოლქვაძე-ჩივიშვილი

რედაქციის მისამართი:  
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6  
ტელ: 555 45 15 11



დირექტორი შალვა არსუშანიანი  
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჯელიძე  
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი  
კომპიუტერული გრაფიკა მამა პაპაშა